საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD)

საგრანტო კონკურსი

(განაცხადების მოთხოვნის ფორმა #20-002)

განაცხადის მიღების ბოლო ვადა: 2020 წლის 20 ნოემბერი, 18:00 საათი.

1. ინფორმაცია საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის შესახებ

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. GCSD-ის ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.

ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, მისი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. GCSD-ის ღირებულებები ეფუძნება: თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

2. ინფორმაცია პროგრამის შესახებ

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD), ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 2020 წლის აპრილიდან ახორციელებს ოთხწლიან პროგრამას - **''ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის მიმართულებით საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება''.**

პროგრამის მიზანია, საქართველოში ყველა ფორმის ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა, ასევე, საზოგადოების მედეგობის ამაღლება და სახელმწიფოს შესაძლებლობების გაძლიერება. ამ მიზნით, პროგრამის ფარგლებში, აქტიური და კომპლექსური ღონისძიებები განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, აკადემიური წრეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ადგილობრივი თემებისა და სხვა ჩართული მხარეების მონაწილეობით.

პროგრამა ორიენტირებულია, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და ფართო სამოქალაქო ჩართულობით უზრუნველყოს მდგრადი და გრძელვადიანი შედეგების მიღწევა.

3. საგრანტო კონკურსის პირობები

წინამდებარე საგრანტო კონკურსის ზოგადი მიზანია, საქართველოში ყველა ფორმის ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავება. საპროექტო განაცხადი უნდა ეხმიანებოდეს პროგრამის მიზნებს და შესაძლოა პასუხობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე საკითხს:

- ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- სამოქალაქო განათლებისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესაძლებლობების გაძლიერება და მათი თვითმყოფადობისა და უფლებების ეფექტურად დაცვა;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, მედიის და სხვა რელევანტური ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება რადიკალიზაციისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ეფექტიანად გამკლავების საკითხებთან მიმართებაში;
- ულტრა-მემარჯვენე, ნეო-ნაცისტურ და სხვა რადიკალური ჯგუფებთან გამკლავებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა;
- მულტიკულტურალიზმის, მრავალფეროვნებისა და განსხვავებულ ჯგუფებს შორის დიალოგის მხარდაჭერა;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო დისკუსიის პროცესში;
- ექსტრემისტული ჯგუფების მიერ გავრცელებულ ნარატივებთან გამკლავებისკენ მიმართული აქტივობების მხარდაჭერა;
- ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნებისა და არაფორმალური განათლების მხარდაჭერა;
- სხვა მომიჯნავე საკითხები, რომლებიც ეხმიანება ზემოთ აღნიშნულ ჩამონათვალს და პროგრამის მთავარ მიზანს.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში პრიორიტეტი მიენიჭება რეგიონულ ორგანიზაციებს ან/და რეგიონულ და მედია ორგანიზაციებთან, ასევე, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (უნივერსიტეტები) პარტნიორობით შემუშავებულ საპროექტო განაცხადებს.

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკებიდან გამომდინარე, საგრანტო განაცხადში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვა და აუცილებლობის გარდა მნიშვნელოვნად უნდა შეიზღუდოს პირთა შეკრება. ასევე, პროექტით განსაზღვრული აქტივობები, პროექტის მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის, უნდა ითვალისწინებდეს პანდემიით შექმნილ გამოწვევებს და მოიცავდეს შესაბამისად ადაპტირებულ ღონისძიებებს.

გრანტის ფარგლებში დაშვებული ღონისძიებებია: კულტურული დიალოგის მხარდაჭერა, სადისკუსიო პლატფორმების შექმნა, ინოვაციური ონლაინ საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, კონსულტაციების გამართვა, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შესაძლებლობების გაძლიერებისა და საგანმანათლებლო აქტივობები, ადვოკატირების ღონისძიებები და სხვა.

გრანტის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

- პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მხარდაჭერი საქმიანობა;
- ინფრასტრუქტურული ხარჯები;
- საერთაშორისო მგზავრობა;
- ჰუმანიტარული აქტივობები;
- სხვადასხვა და გაუთვალისწინებელი ხარჯები;
- წარმომადგენლობითი ხარჯი, როგორიცაა მაგ: ალკოჰოლის შეძენა და სხვა;
- მუნიციპალური სერვისების მიწოდება (სოციალური სერვისები, ჯანდაცვის სერვისები და სხვა).

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები - კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტირირებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს, რომლებსაც აქვთ მინიმუმ სამ წლიანი ოპერირების გამოცდილება. ასევე, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

კონკურსის ფარგლებში გაიცემა 1 ქვე-გრანტი. GCSD-ის მიერ გაცემული ერთი ქვე-გრანტის მაქსიმალური თანხა შეადგენს 100 000 ლარს (დაფინანსების სხვა წყაროს გარეშე). პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6-დან 12 თვემდე.

4. კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები

- განაცხადის ფორმა ქართულ ენაზე (დანართი - 1. ფონტი: 12 Times New Roman);
- პროექტის ბიუჯეტი და მისი დასაბუთება (დანართი - 2 ფონტი: 12 Times New Roman);
- პროექტში მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე (არაუმეტეს ორი გვერდისა);
- განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- აუდიტორის მიერ შემოწმებული აპლიკანტის ბოლო ფინანსური ანგარიშგების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორი რეკომენდატორის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია დამატებით საფინანსო წყაროებსა და თანამონაწილეობაზე, დონორთა თანხმობის წერილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული (დაუმოწმებელი) შედარების აქტი ბოლო მდგომარეობით;

მოთხოვნილი დოკუმენტები და საგრანტო განაცხადთან დაკავშირებული კითხვები გამოგზავნეთ შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: gcsd@gcsd.org.ge სათაურის ველში მიუთითეთ - **განაცხადების მოთხოვნის ფორმა #20-002.**

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად GCSD-ი გამართავს საკონსულტაციო შეხვედრას: პარასკევს, 5 ნოემბერს, 13:00 საათზე, Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით. რეგისტრაციისთვის, გთხოვთ მოგვწეროთ ზემოთ მითითებულ ელ-ფოსტაზე. საგრანტო განაცხადთან დაკავშირებული კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადაა 10 ნოემბერი.

5. ინფორმაცია გრანტის გაცემისა და ადმინისტრირების შესახებ

ქვე-გრანტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ქვე-გრანტის მიერ დაფინანსებული ყველა ხარჯი უნდა იყოს ნებადართული, საქმიანობასთან დაკავშირებული და დასაბუთებული.

წინამდებარე განაცხადის მოთხოვნის ფორმის გამოქვეყნება და განაცხადის შემუშავებაში დახმარების გაწევა არ წარმოადგენს GCSD-ის მხრიდან გრანტის მიღებას ან რაიმე დაპირებას, ან ვალდებულებას დაფაროს განაცხადის მომზადებასა და ჩაბარებისას გაწეული ხარჯები. ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, მოიწონოს ან უარი თქვას ნებისმიერ შემოტანილ განაცხადზე. ასევე, იტოვებს უფლებას, მოითხოვოს განაცხადის შემომტანისგან შემდგომი განმარტებები და დამატებითი დოკუმენტები. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, აპლიკანტებს, წერილობით ეცნობებათ მათ მიერ შემოტანილ განაცხადთან დაკავშირებული განაწყვეტილება.

6. საპროექტო განაცხადის შეფასება

საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარდგენილი საპროექტო განაცხადების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი საბჭოს მიერ. არასრული ან დაგვიანებით მიღებული საპროექტო განაცხადები არ განიხილება.

შეფასების კრიტერიუმები	პროცენტული წილი (100%)
ტექნიკური მოთხოვნები	10%
მიზნების შესაბამისობა	20%
აქტივობებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობა	25%
ორგანიზაციის გამოცდილება და გუნდის კვალიფიკაცია	15%
მდგრადობა	10%
ბიუჯეტის ხარჯთ-ეფექტურობა	15%
სხვა (პროექტი ეკომეგობრულია, გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, ინოვაციურია, ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას).	5%